EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to republish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights database HUDOC

ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ

(საჩივარი no. 14142/15)

გადაწყვეტილება

2023 წლის 16 თებერვალი

ფაქტები – მომჩივანი იყო პატიმარი თბილისის No. 8 პენიტენციურ დაწესებულებაში („გლდანის ციხე“). შეყვანის დროს ექიმმა, რომელმაც გასინჯა, სამედიცინო საქმეში აღნიშნა, რომ დაზიანებები არ აღენიშნებოდა. სულ რაღაც ორ წელზე მეტი ხნის შემდეგ ქართულ მედიაში გავრცელდა ციხის სხვადასხვა დაწესებულებებში, მათ შორის გლდანის ციხეში პატიმართა არასათანადო მოპყრობის ამსახველი კადრები. მომჩივანმა შეიტანა დეტალური სისხლის სამართლის საჩივარი ციხის თერთმეტი იდენტიფიცირებული ოფიცრის მიერ არასათანადო მოპყრობის განმეორებით ქმედებებზე. არასათანადო მოპყრობის შედეგად, მომჩივანმა მიიღო სერიოზული დაზიანებები, მათ შორის ხერხემლის მძიმე ტრავმა, თითების მოტეხილობა და გატეხილი კბილები.

მომჩივნის სისხლის სამართლის საქმე საბოლოოდ შეუერთდა გლდანის ციხეში პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ მიმდინარე გამოძიებას. სისხლის სამართლის პროცესი გამამტყუნებელი განაჩენით დასრულდა ციხის შვიდი ოფიცრის წინააღმდეგ (მომჩივნის მიერ დასახელებული თერთმეტიდან) სისტემატიური არასათანადო მოპყრობისთვის, მათ შორის მომჩივნის მიმართ.

მომჩივანმა წარუმატებლად აღძრა სამოქალაქო სამართალწარმოება სასჯელაღსრულების სამინისტროს წინააღმდეგ ოფიცრების მიერ მის მიმართ ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით.

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

44. მომჩივანი დავობდა კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით, რომ ის იყო 2011 წლის ივნისიდან გლდანის საპყრობილეში სისტემატიური არასათანადო მოპყრობის ქვეშ 2012 წლის აგვისტომდე და რომ კომპეტენტურმა ეროვნულმა ორგანოებმა ვერ ჩაატარეს ეფექტური გამოძიება.

A. დასაშვებობა

1. მხარეთა არგუმენტები

45. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივანმა არ შეიტანა თავისი განცხადება სასამართლოსთან სათანადო ვადებში, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი, რადგან მას აკლდა გულმოდგინება შესაბამისი ეროვნული ორგანოებისთვის დათქმულ ვადებში თავისი საჩივრის შესატყობინებლად. კერძოდ, მას უნდა განესაზღვრა, რომ ეფექტური გამოძიება ვერ დაიწყებოდა მას შემდეგ, რაც სასჯელაღსრულების სამინისტროს გამომძიებელმა 2011 წლის 5 დეკემბერს, უარი თქვა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დაწყებაზე 2011 წლის ნოემბრის დასაწყისში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით (იხ. პარაგრაფი 15 ზემოთ).

46. მომჩივანი არ დაეთანხმა და ამტკიცებდა, რომ მან სისხლის სამართლის საჩივარი დროულად შეიტანა, საქმის განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე:

დაკავების დროს იგი იყო ზედმეტად დაუცველი იმისთვის, რომ საჯაროდ შეეტყობინებინა გლდანის სისტემაში არსებული ჩაგვრის თაობაზე რადგანაც ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ შესაბამისი მმართველი ძალები ხოლო ეს ვითარება მხოლოდ 2012 წლის ოქტომბერში შეიცვალა (იხ. პარაგრაფები 3-8, 25 და 40-43).

2. *სასამართლოს შეფასება*

(ა) თავსებადობა *ratione personae*-სთან

47. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას არც ამ კუთხით გამოუთქვამს რაიმე პროტესტი, სასამართლო თავისი ინიციატივით აღნიშნავს, რომ მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებები - განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ ციხის რამდენიმე ოფიცერი საბოლოოდ გაასამართლეს გლდანის ციხეში პატიმართა სისტემატური არასათანადო მოპყრობისთვის - შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს ეჭვი მომჩივნის მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით კონვენციის 34-ე მუხლის მიზნებისთვის. ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ საკითხი დაკარგა თუ არა მომჩივანმა მსხვერპლის სტატუსი კონვენციის სამართალწარმოებაში წარმოადგენს ratione personae-სთან თავსებადობის საკითხს, რომელიც წარმოადგენს სასამართლოს პირადი იურისდიქციის ნაწილს და არ არის დამოკიდებული ამ კუთხით მთავრობის მხრიდან პროტესტის არსებობაზე (შეადარეთ, მაგალითად, *ბუზადი მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, {დიდი პალატა}, no. 23755/07, § 70, ECHR 2016 (ამონარიდები)).

48. სასამართლო იმეორებს, რომ მომჩივნისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება ან ღონისძიება პრინციპში არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ჩამოერთვას ამ პირს „მსხვერპლის“ სტატუსი კონვენციის 34-ე მუხლის მნიშვნელობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეროვნული ორგანოები აღიარებენ, პირდაპირ ან არსებითად ამ უკანასკნელს, და შემდეგ უზრუნველყოფენ კონვენციის დარღვევის გამოსწორებას (იხ. მაგალითად, *სკორდინო იტალიის წინააღმდეგ*, (no. 1) [დიდი პალატა], no. 36813/97, § 180, ECHR 2006-V, დამატებითი მითითებებით). რაც შეეხება კომპენსაციას, რომელიც მიზანშეწონილი და საკმარისია ეროვნულ დონეზე კონვენციური უფლების დარღვევის გამოსასწორებლად, სასამართლომ ზოგადად მიიჩნია, რომ ეს დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, განსაკუთრებით სავარაუდოდ

დარღვეული უფლების ბუნებაზე (იხ. *გეფგენი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], No. 22978/05, § 116, ECHR 2010).

49. წინამდებარე საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ შვიდი პოლიციელი გაასამართლეს მომჩივნის არასათანადო მოპყრობის გამო, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ არ მოხდა კომპენსაციის მინიჭება ეროვნული სამოქალაქო სასამართლოების მიერ (იხ. §§37-39 ზემოთ). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მთავრობა არ აცხადებდა, რომ ციხის ოფიცრების მსჯავრდების შემდეგ, მომჩივნისთვის ღია იქნებოდა წარედგინა ახალი სამოქალაქო სარჩელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურებისთვის, ან თუ ასეთი შესაძლებლობა იარსებებდა, რომ მას რაიმე გავლენა ექნებოდა მომჩივნის მდგომარეობაზე კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით. ასეთ ვითარებაში, სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივანმა შეინარჩუნა მსხვერპლის სტატუსი ზემოაღნიშნული დებულების მნიშვნელობით.

(b) ექვსი თვის წესი

50. რაც შეეხება მთავრობის წინააღმდეგ ექვსთვიან წესს, სასამართლომ უნდა გაარკვიოს, იცოდა თუ არა მომჩივანმა სასამართლოში საჩივრის შეტანის დროს, ან უნდა სცოდნოდა თუ არა ექვს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, რაიმე ეფექტური სისხლის სამართლის გამოძიების არარსებობის შესახებ. მისი უმოქმედობა, სისხლის სამართლის საჩივრის ეროვნულ დონეზე შეტანამდე, არ არის აქტუალური ექვსთვიანი მოთხოვნის შესრულების შეფასებისთვის. თუმცა, თუ სასამართლო დაასკვნიდა, რომ სანამ მომჩივანი მიმართავდა კომპეტენტურ ადგილობრივ ორგანოებს, მან უკვე იცოდა, ან უნდა სცოდნოდა ქმედითი სისხლის სამართლის გამოძიების არარსებობის შესახებ, აშკარა იქნება, რომ მისი შემდგომი განცხადება სასამართლოში *fortiori* ჩაითვლებოდა ვადის გასვლით შეტანილად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ახალი მტკიცებულება ან ინფორმაცია არ გამოჩნდებოდა, რომელიც წარმოშობდა ხელისუფლების ახალ ვალდებულებას განეხორციელებინა შემდგომი საგამოძიებო ღონისძიებები (იხ. *მოკანუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], nos. 10865/09 და 2 სხვა, § 272, ECHR 2014 (ამონარიდები)).

51. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო არ არის დარწმუნებული მთავრობის წინადადებაში, რომ მომჩივანი უნდა აცნობიერებდეს, რომ არ არსებობდა ეფექტური სისხლის სამართლის გამოძიების შანსი 2011 წლის 5 დეკემბრის პროკურატურის გადაწყვეტილების შემდეგ, რომელიც უარს ამბობდა სისხლის სამართლის საქმის გახსნაზე 2011 წლის ნოემბრის ინციდენტთან დაკავშირებით, რადგან წინამდებარე საქმის საგანს არ წარმოადგენს ცალკე მდგომი ის ინციდენტი, არამედ განცხადება იმის შესახებ, რომ მომჩივანი ექვემდებარებოდა არასათანადო მოპყრობას გლდანის ციხეში ყოფნის დროს 2011 წლის ივლისიდან 2012 წლის აგვისტომდე. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ მომჩივანმა პირველად განუცხადა კომპეტენტურ ორგანოებს გლდანის ციხეში სისტემატური ძალადობის შესახებ 2012 წლის ოქტომბერში და დეკემბერში, ანუ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდა ხელისუფლების ცვლილებები (იხ. §46 ზემოთ), სასამართლო იმეორებს, რომ სახელმწიფო აგენტების მიერ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფსიქოლოგიურმა შედეგებმა შეიძლება შეარყიოს მსხვერპლის შესაძლებლობა, დაუყონებლივ გადადგას აუცილებელი ნაბიჯები მოძალადის წინააღმდეგ. ასეთი ბარიერი შეიძლება იყოს განსაკუთრებით რთული დასაძლევად, როდესაც, როგორც მომჩივნის შემთხვევაში, მსხვერპლი მუდმივად რჩება იმ ადამიანების კონტროლის ქვეშ, რომლებიც მონაწილეობდნენ ინციდენტის შემდგომ არასათანადო მოპყრობაში (იხ. *მოკანუ და სხები*, ციტირებული ზემოთ, § 274, ECHR 2014), და *მაფალანი ხორვატიის წინააღმდეგ*, No. 32325/13, § 82, 9 ივლისი 2015 წ.). გარდა ამისა, არსებობს ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების დასკვნები იმის შესახებ, რომ ციხის ოფიცრები სისტემატურად მიმართავდნენ ძალადობრივ ან სხვაგვარ უკანონო ზომებს, რათა თავიდან აეცილებინათ ძალადობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება (იხ. პარაგრაფები 42 და 43 ზემოთ და შეადარეთ საქმეს *გაბლიშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ,* No. 7088). /11, §§ 36 და 37, 2019 წლის 21 თებერვალი). ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ წინამდებარე საქმის კონკრეტულ გარემოებებში, მომჩივანი, რომელმაც თავად აღიარა ეროვნული ხელისუფლების წინაშე, რომ იგი ძალიან დაშინებული იყო, სანამ გლდანის ციხის ოფიცრების ხელში იმყოფებოდა, არ შეიძლება გაიკიცხოს იმის გამო, რომ მან უფრო ადრე არ გამოთქვა თავისი პრეტენზია ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე. გარდა ამისა, ციხეში მისი მოწყვლადობა წარმოადგენს მისი უმოქმედობის მიზეზს 2011 წლის ივნისის დასაწყისიდან, როდესაც

ის გლდანის ციხეში მოათავსეს, 2012 წლის ოქტომბრამდე, როდესაც მოხდა ცვლილებები მმართველ ძალებში (იქვე, §§ 44 და 45). იხილეთ აგრეთვე *მოკანუ და სხვები*, ციტირებული ზემოთ, § 275).

52. რაც შეეხება მომჩივნის ქცევას 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ, სასამართლო კმაყოფილია იმით, რომ 2013 და 2014 წლების განმავლობაში და წინამდებარე საჩივრის შეტანამდე 2015 წლის მარტში, მომჩივანი რეგულარულად ცდილობდა გამოეკითხა გამოძიების მიმდინარეობა, მასზე ეფექტური შედეგის შესახებ ცნობის მიღების იმედით (იხ. პარაგრაფები 25 და 29 ზემოთ და შეადარეთ *გაბლიშვილი და სხვები*, ციტირებული ზემოთ, § 50). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ვერ ხედავს რაიმე საფუძველს რათა დაასკვნას, რომ 2015 წლის 11 მარტს სასამართლოში საჩივრის შეტანის დროს მომჩივანმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა ექვს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ეფექტური სისხლის სამართლის გამოძიების შესაძლებლობის არარსებობაზე ამიტომ, მთავრობის პროტესტი უარყოფილი უნდა იქნას.

(c) **დასკვნა**

53. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და იმის გათვალისწინებით, რომ საჩივარი არ არის დაუშვებელი სხვა რაიმე საფუძვლით, სასამართლო ადგენს, რომ ის დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

B. **არსებითი მხარე**

1. მხარეთა არგუმენტები

54. მომჩივანი დავობდა, რომ სასამართლოს წარედგინა საკმარისად ძლიერი, მკაფიო და შესაბამისი მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ იგი ექვემდებარებოდა განმეორებით არასათანადო მოპყრობას გლდანის ციხის ოფიცრების მიერ 2011 წლის ივნისიდან 2012 წლის აგვისტომდე. ის ასევე დავობდა, რომ ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიება მისი არასათანადო მოპყრობის ბრალდებებთან დაკავშირებით არ იყო საფუძვლიანი, ეფექტური ან დამოუკიდებელი.

55. მთავრობამ უპასუხა, რომ მომჩივანმა ვერ დაამტკიცა არასათანადო მოპყრობის ფაქტების არსებობა გონივრულ ეჭვს მიღმა და რომ ეროვნული საგამოძიებო

ორგანოებმა გააკეთეს ყველაფერი რაც შესაძლებელი იყო მისი ბრალდებების საფუძვლიანობის შესამოწმებლად.

2. სასამართლოს შეფასება

(a) ზოგადი პრინციპები

56. შესაბამისი ზოგადი პრინციპები სასამართლომ შეაჯამა საქმეში *ბოუიდი ბელგიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], No. 23380/09, §§ 81-88 და 114 23, ECHR 2015).

(b) ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმის გარემოებებში

57. სასამართლო მიზანშეწონილად თვლის დაიწყოს მომჩივნის საჩივრით კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული კუთხით საჩივრის არსებითი განხილვა.

(i) იყო თუ არა გამოძიება ეფექტური მომჩივნის განცხადებებთან დაკავშირებით

58. სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა 2012 წლის ოქტომბერში ოფიციალურად გააჟღერა საჩივარი არასათანადო მოპყრობის შესახებ, კომპეტენტურ ადგილობრივ ორგანოებს დასჭირდათ ხუთ წელზე მეტი დრო, რათა დაედგინათ დამნაშავეები და უზრუნველყოთ სასჯელის შეფარდება ზოგიერთ მათგანთან დაკავშირებით. 2012-დან 2016 წლამდე პერიოდში საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ადგილი ჰქონდა აუხსნელ უმოქმედობას, როდესაც მათ ვერ ჩაატარეს მომჩივნის მიერ არაერთხელ მოთხოვნილი ყველაზე საბაზისო საგამოძიებო ღონისძიებები და, ამას გარდა, წინასასამართლო ეტაპზე მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში ამ უკანასკნელს დაუსაბუთებლად ეთქვა უარი დაზარალებულის სტატუსის საჭირო პროცედურულ რეკვიზიტებზე, რაც საშუალებას მისცემდა თვალყური ედევნებინა გამოძიებისთვის რათა შეეფასებინა მისი სანდოობა და წვლილი შეეტანა მის სწორად წარმართვაში (იხ. პარაგრაფები 24-34, და შეადარეთ საქმეს *მინდაძე და ნესიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ*, no. 21571/05, § 108, 1 ივნისი 2017). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო იმეორებს, რომ „გაჭიანურებული მართლმსაჯულება ხშირად ნიშნავს უგულებელყოფილ მართლმსაჯულების“, რადგან უმოქმედობის არაგონივრული პერიოდების არსებობამ და ხელისუფლების მხრიდან საქმის წარმოებაში გულმოდგინების ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიების

არაეფექტურონა (შეადარეთ *ლოპატინი და მედვედსკი უკრაინის წინააღმდეგ,* №2278/03 და 6222/03, § 75, 2010 წლის 20 მაისი, და *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ,* №50375/07, §89, 2019 წლის 18 ივლისი, დამატებითი მითითებით).

59. ამას გარდა, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ უზრუნველყო მსჯავრდებები და ციხის ზოგიერთ ოფიცერს შეუფარდა პატიმრობა არასათანადო მოპყრობის ზოგიერთ ინციდენტთან დაკავშირებით, რაც მართლაც პოზიტიური მოვლენა იყო, თუმცა მათ აშკარად არ გამოუძიებიათ რიგი სხვა სერიოზული ინციდენტები. კერძოდ: მომჩივნის სავარაუდო ცემა 2011 წლის ნოემბრის დასაწყისში, რამაც გამოიწვია მისი ხერხემლის დაზიანება; მისი ცემა საშხაპე ოთახში, რის შედეგადაც იგი გაქრა და შემდეგ გონს მოეგო ციხის მორგში; და მისი სავარაუდო თვითნებური მოთავსება დამამცირებელ პირობებში კარცერსა და ფაქსში, დისციპლინურ საკნებში (იხ. პუნქტები 13, 15, 17 და 35 ზემოთ). სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მომჩივანი თანმიმდევრულად და დამაჯერებლად აცხადებდა ეროვნული ხელისუფლების წინაშე, რომ გლდანის ციხეში მის არასათანადო მოპყრობაში მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ციხის შვიდი მსჯავრდებული ოფიცერი, არამედ ციხის სხვა მაღალი რანგის ოფიცრებიც, თუმცა ამ დამატებითი დამნაშავეების როლი არ იყო განმარტებული. ამრიგად, იგი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ თვალი დახუჭა მომჩივნის სანდო ბრალდებაზე მსჯავრდებულებსა და ციხის სხვა მაღალჩინოსნებს შორის თანამონაწილეობის შესახებ. საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ასეთი აუხსნელად შერჩევითი მიდგომა არ შეესაბამება მოპასუხე სახელმწიფოს პროცედურულ ვალდებულებებს კონვენციის მე-3 მუხლით, რადგან იმისათვის, რომ გამოძიება იყოს ეფექტური, მისი დასკვნები ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს საფუძვლიან, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს. ყველა შესაბამისი ელემენტი და ესეც, ცხადია, მოიცავს ადეკვატური გამოძიების ჩატარებას სისხლის სამართლის თანამონაწილეობასთან დაკავშირებულ სანდო ბრალდებებსაც (შეადარეთ, მსგავსი საპროცესო ვალდებულებების კონტექსტში მე-2 მუხლით, *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ,* No. 25091/07, §§ 254 და 266 , 2011 წლის 26 აპრილი). ზემოაღნიშნულის ფონზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ციხის შვიდი ოფიცრის გასამართლების მიუხედავად (შეადარეთ *ვაზაგაშვილი და შანავა,*

ციტირებული ზემოთ, § 91), პროცედურულად ხარვეზიანი სისხლის სამართლის პროცესის შედეგი არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარის კომპენსაციად მომჩივნისთვის.

60. იმის გათვალისწინებით, რომ სერიოზული ქმედებებისგან ეფექტური პრევენცია, როგორიცაა განზრახ თავდასხმები პირის ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, მოითხოვს ეფექტურ სისხლის სამართლის რეაგირებას (შეადარეთ, მაგალითად, *ლატვიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], No. 44898/10, § 76, 5 ივლისი 2016 წ. *მიჰაილოვი ესტონეთის წინააღმდეგ*, №64418/10, § 81, 2016 წლის 30 აგვისტო; და *ფუფლერი ალბანეთის წინააღმდეგ*, №31959/13, § 71, 2018 წლის 20 ნოემბერი) და ამავდროულად წინა პარაგრაფებიდან გამოტანილი დასკვნები, რომლებიც მიუთითებენ მნიშვნელოვან ხარვეზებზე მოპასუხე სახელმწიფოს რეაგირების კუთხით მოცემულ საქმეში, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევას.

(ii) ჰქონდა თუ არა ადგილი მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობა ციხეში

61. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნულმა სისხლის სამართლის სასამართლოებმა მტკიცებულებების გაცნობისა და საქმის ფაქტების შესწავლის შემდეგ, დაადგინეს, რომ ციხის შვიდი ოფიცერი, რომლებიც მოქმედებდნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, დამნაშავეები იყვნენ გლდანის ციხეში პატიმართა სისტემატური არასათანადო მოპყრობისთვის მათ შორის მომჩივნის წინააღმდეგ. მათ განსაზღვრეს ხუთი ცალკეული შემთხვევა, როდესაც პირადად მომჩივნის მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას. სასამართლოებმა ასევე დაადგინეს, რომ ოფიცრების მიერ პატიმრებზე სისტემატური შეურაცხყოფის მიზანს წარმოადგენდა შიშის დანერგვა და ამით მათი სრული დამორჩილება და, შესაბამისად, მათზე კონტროლის მოპოვება (იხ. პარაგრაფები 34 და 35 ზემოთ). სასამართლოს თვალში, ეროვნული სასამართლოების ეს დასკვნები, რომლებიც არც კი იყო სადავო მთავრობის მიერ, ცხადყოფს, რომ მომჩივნის არასათანადო მოპყრობა, რომლის გარკვეული ქმედებები არ შეიძლება იყოს კვალიფიცირებული როგორც წამება, პირდაპირ მიეწერებოდა მოპასუხე სახელმწიფოს (შეადარეთ, მაგალითად, *ვაზაგაშვილი და შანავა*, ციტირებული ზემოთ, § 97) და ჩადენილი იყო ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ, იმ დროისთვის გლდანის ციხის პატიმრების როგორც სისტემატური ასევე სისტემური ძალადობის ნაწილი.

62. ზემოაღნიშნული მოსაზრებების ისევე როგორც იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მომჩივანს ზიანის ანაზღაურება არ მიუღია არასათანადო მოპყრობის შედეგად მიყენებული დაზიანებებისთვის, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალური ნაწილის დარღვევას.

II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

63. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. ზიანი

64. მომჩივანმა მოითხოვა 20,000 ევრო (ევრო) არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

65. მთავრობამ განაცხადა, რომ მოთხოვნილი თანხა არ იყო გამართლებული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

66. სასამართლო აღიარებს, რომ მომჩივანს მიადგა არამატერიალური ზიანი, რომლის კომპენსირება შეუძლებელია მხოლოდ დარღვევის დადგენით. საქმის შესაბამისი გარემოებების, *non ultra petita*-ს პრინციპის და ასევე სხვადასხვა სამართლიანი და მიუკერძოებელი მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მომჩივანს მიაკუთვნოს 20,000 ევრო, პლუს ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაეკისროს.

ამ მიზეზების გამო, სასამართლო ერთხმად,

1. დასაშვებად *აცხადებს* საჩივარს;

2. *ადგენს*, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის როგორც მატერიალური, ასევე პროცედურული ასპექტების დარღვევას მომჩივნის არასათანადო მოპყრობის

გამო, რომლის გარკვეული ქმედებები წამებას უტოლდებოდა და არ ჩატარებულა ეფექტური სისხლის სამართლის გამოძიება;

3. *ადგენს*

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს მომჩივანს სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, 20,000 ევრო (ოცი ათასი ევრო), პლუს ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება იყოს გადასახდელი არამატერიალური ზიანის გამო, გადახურდავდება მოპასუხე სახელმწიფოს ვალუტაში გადახდის თარიღისთვის მოქმედი კურსით;